ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო–საბიუჯეტო კომისია

ოქმი N12

19.12.2024 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თემური დუნდუა
სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თორნიკე კირთაძე
ბექა მორჩილაძე
[redacted]

ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების
სამსახურის უფროსი ვასილ თოდუა

იურიდიული განყოფილების უფროსი ინგა გიგიბერია

მოისმინეს: "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის სხდომის დღის წესრიგის შესახებ".

მომხს. თემური დუნდუა

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ".
2. განკარგულების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის III კვარტლის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ".
3. განკარგულების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ".
4. დადგენილების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის №17/19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
5. დადგენილების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის N17/20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

6. განკარგულების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვრის განსაზღვრის შესახებ“ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 იანვრის N2/5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
7. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.
8. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 11 თვის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 11 თვის ანგარიშგება საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ გადახდებზე.

მოისმინეს: თემური დუნდუას მოხსენება დადგენილების პროექტის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

აზრი გამოთქვეს: თ. დუნდუამ.

დაადგინეს: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები დაბალანსებულია, არ შეიცავს უზუსტობებს. შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ეთანხმება წარმოდგენილ პროექტს.

მომხრე – 6 წინააღმდეგი – 1

მოისმინეს: თემური დუნდუას მოხსენება განკარგულების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის III კვარტლის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“.

აზრი გამოთქვეს: თ. დუნდუამ.

დაადგინეს: 1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ექსპერტ-სპეციალისტის მიერ შესწავლილი საკითხი - „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის III კვარტლის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“ და საფინანსო დოკუმენტაციის შესწავლის აქტები მიღებულ იქნას ცნობად, თანახმად დანართებისა.

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (ბექა ვაჭარაძე) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ზოგიერთი ორგანიზაცია-დაწესებულების ბალანსზე რიცხული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების შემცირება-აღმოფხვრისთვის და გაწეული მუშაობის შესახებ აცნობოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 იანვრამდე.

3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის III კვარტლის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვისთვის გაწეული მუშაობა ცნობად იქნას მიღებული.

მომხრე – 6 წინააღმდეგი – 1

მოისმინეს: თემური დუნდუას მოხსენება განკარგულების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“.

აზრი გამოთქვეს: თ. დუნდუამ.

დაადგინეს: 1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ექსპერტ-სპეციალისტის მიერ შესწავლილი საკითხი - „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“ და საფინანსო დოკუმენტაციის შესწავლის აქტი მიღებულ იქნას ცნობად, თანახმად დანართებისა.

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (ბექა ვაჭარაძე) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ზოგიერთი ორგანიზაცია-დაწესებულების ბალანსზე რიცხული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების შემცირება-აღმოფხვრისთვის და გაწეული მუშაობის შესახებ აცნობოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 იანვრამდე.

3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვისთვის გაწეული მუშაობა ცნობად იქნას მიღებული.

მომხრე – 6 წინააღმდეგი – 1

მოისმინეს: თემური დუნდუას მოხსენება დადგენილების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის №17/19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: თ. დუნდუამ.

დაადგინეს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ეთანხმება წარმოდგენილ პროექტს და მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

მომხრე – 6 წინააღმდეგი – 1

მოისმინეს: თემური დუნდუას მოხსენება დადგენილების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის N17/20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ”.

აზრი გამოთქვეს: თ. დუნდუამ.

დაადგინეს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ეთანხმება წარმოდგენილ პროექტს და მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

მომხრე – 6 წინააღმდეგი – 1

მოისმინეს: თემური დუნდუას მოხსენება განკარგულების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვრის განსაზღვრის შესახებ“ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 იანვრის N2/5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

აზრი გამოთქვეს: თ. დუნდუამ.

დაადგინეს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ეთანხმება წარმოდგენილ პროექტს და მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

მომხრე – 6 წინააღმდეგი – 1

მოისმინეს: თემური დუნდუას მოხსენება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

აზრი გამოთქვეს: თ. დუნდუამ.

დაადგინეს: კომისია ეთანხმება წარმოდგენილ საკითხს „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ და მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

მომხრე – 7 წინააღმდეგი – 0

მოისმინეს: თემური დუნდუას ინფორმაცია „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 11 თვის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ. ინფორმაცია ქალაქ

ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 11 თვის ანგარიშგება საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ გადახდებზე“

აზრი გამოთქვეს: თ. დუნდუამ.

დაადგინეს: თემური დუნდუას ინფორმაცია „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 11 თვის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“ და ინფორმაცია „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 11 თვის ანგარიშგება საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ გადახდებზე“ ცნობად იქნას მიღებული.

მომხრე – 7 წინააღმდეგი – 0

კომისიის თავმჯდომარე თემური დუნდუა